გენერალური ხელშეკრულება

მომსახურების გაწევაზე №1

ქ. ბათუმი 02.01.2014წ

ერთის მხრივ „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა" მისი დირექტორი თენგიზ შერვაშიძე სახით შემდგომში „დამკვეთად" წოდებული და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე ამირან დუაძე, შემდგომში წოდებული, როგორც „შემსრულებელი" და ორივე „მხარეებად" წოდებული შეთანხმდნენ შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მომსახურების ხელშეკრულებით, შემსრულებელი ვალდებულია 2014 წლის 02 იანვრის თვიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, თვეში ერთხელ განახორციელოს დამკვეთის საკუთრებაში არსებული საოფისე და სასაწყობე ტერიტორიის დეზინსექციის და დერატიზაციის სამუშაოები.

1.2 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს მის საკუთრებაში ასრებული სპეციალიზირებული ხელსაწყოებით და საშუალებებით.

1.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსელიძის 2.

## 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

2.1 მომსახურების საფასური ერთ თვეში შეადგენს 50 ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2 მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ყოველი თვის ბოლოს სამუშაოების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 3 საბანკო დღის ვადაში.

2.3 მხარეებმა ზეპირი ან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ განსაზღვრონ ანგარიშსწორებისა და საბუღალტრო დოკუმენტაციის წარდგენის განსხვავებული ვადა და წესი.

### 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 2 იანვრიდან და ძალას კარგავს 2014 წლის 31 დეკემბერს.

3.2 მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში შემსრულებელს მიეცემა ანაზღაურება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

### 4. დავათა გადაწყვეტა

4.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

4.2 საკითხს მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშვება მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ან მისგან გამომდინარე განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3 დავის არსებობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს და მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადაო საკითხისა.

### 5. დასკვნითი დებულებანი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა, იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

5.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მხარეთა რეკვიზიტები:

**დამკვეთი**

ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა

დირექტორი: თენგიზ შერვაშიძე

ქ. ბათუმი, ტბ. აბუსელიძის 2.

საღ კოდ: 245426392

საბანკო რეკვიზიტები:

სს თიბისი ბანკი

ბანკი კოდი: TBCBGE22

ანგ. №GE05TB7370636080100001

ტელ: 27 92 43

**შემსრულებელი**

ინდ. მეწარმე

ამირან დუაძე

საიდ. კოდი: 61001007937

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის №: GE21TB7775036010100007

ტელ: 555 58 39 67